საქართველოს გაერთიანებული
წყალმომარაგების კომპანია
UNITED WATER SUPPLY COMPANY OF GEORGIA

N 16571/1
29/09/2022

16571-1-2-202209291604

სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსს
ბატონ ირაკლი მუკნიაშვილს

**ბატონო ირაკლი,**

როგორც თქვენთვის ცნობილია, შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“ (შემდგომში - კომპანია) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, დაგეგმილი აქვს **„კურორტ ბახმაროს წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის მშენებლობა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა-ექსპლუატაციის“** პროექტის განხორციელება, რომელიც მოიცავს, სატუმბი სადგურების, ჭაბურღილების, რეზერვუარებისა და წყალმომარაგების/წყალარინების ქსელის მოწყობას.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, წყალმომარაგების/წყალარინების ინფრასტრუქტურის მშენებლობა (ქსელი, წნევის ჩამქრობი ჭები) გათვალისწინებულია, სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სატყეო ფონდში და სამშენებლო სამუშაოების წარმოებისთვის, საჭირო ხდება სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის უფლების მოპოვების პროცედურების განხორციელება.

დანართის სახით წარმოგიდგენთ, აღნიშნული ტერიტორიების საკადასტრო აგეგმვით/აზომვით ნახაზებს, ელექტრონულ ფაილებს და გთხოვთ, „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილების შესაბამისად, მშენებლობა/ფუნქციონირებისთვის, შემდგომში უსაფრთხო ექსპლუატაციის მიზნით, 9 კვ.მ, 9 კვ.მ, 145 კვ.მ, 185 კვ.მ, 370 კვ.მ, 532 კვ.მ და 922 კვ.მ მიწის ფართობზე, მოგვანიჭოთ სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის უფლება 25 (ოცდახუთი) წლამდე ვადით.

აქვე გაცნობებთ, რომ აღნიშნულ ფართობზე არ იგეგმება ხე-მცენარეების ჭრა, ფართობზე არ გვხვდება „წითელი ნუსხით“ დაცული მერქნიანი სახეობები, ხოლო ფერდობის დაქანება არ აღემატება 25 გრადუსს.

***დანართი:*** 1) საკადასტრო აზომვითი ნახაზები.

პატივისცემით,

აკაკი მშვიდობაძე

დირექტორის მოადგილე

შპს
L.L.C.
საქართველო, ქ.თბილისი 0186
ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №5
ტელ: (032) 2 91 90 60
ს/კ: 412670097
e-mail: info@water.gov.ge
www.water. gov.ge
5, Anna Politkovskaya St.
Tbilisi 0186, Georgia
Tel: (032) 2 91 90 60